# ცნობის ფურცელი

## სურათებიანი დამატება

დამატების № 230. ხუთშაბათი, 24 ივნისი 1904 წ. გაზეთის № 2534.

## ვარდის ფერფლი

კატულ მენდესისა.

მშვენიერი დილა გათენდა. აღმოსავლეთისაკენ ალისფრად აპრიალებულს მზის სხივს მთვარე სრულიად დაუჩრდილავს. თვალ-გადუწვდენელს ცის სივრცეში დანთქმულს ვარსკვლავებს თითქოს მოსწყენიათ ღამის დარაჯობა, შუქი გამოჰლევიათ და მირულულან. შორს, გაკრიალებულს კამარაში, მთის სიმაღლენი მედიდურად ამართულან და მხოლოდ ერთს ალაგას საგანგებოდ შუაზედ გაჭრილან და იქიდან მზის სხივებს მოკრძალებით ეამბორებიან. ზურმუხტად გადაქცეულს მშვენიერს ქვეყანას ნელ-ნელა შემოეხსნა ღამის წყვდიადი, რომელიც დილის განთიადს ღიმილით ეპატიჟება. ბუნება სადღესასწაულოდ მომზადებულა და განსპეტაკებულს ტანისამოსში გახვეულა. აჰა, გამოჩნდა მზის პირველი სხივიც და მთელი არე-მარე თვისის აუწერელის უცხო სურათით, ვით მოკეკლუცე პატარძალი, მის წინაშე მორცხვად და ნაზად თავს იხრის... წინად ღამის წყვდიადში ღრმად დანთქმულს და დადუმებულს ბუნებას ეხლა საერთო მეჯლიში გაუმართავს და მხიარულობს.

მხოლოდ მე ვიყავ მარტოდ-მარტო დაღონებული და ერთს ალაგზე გაშეშებული. გული ჩემი ღრმა მწუხარებას ჰგრძნობდა, მაგრამ... რატომ? გუშინ საღამოს თვალი მოვკარ ერთს ჩემს კარგს ნაცნობს, ცქრიალა ქალს, რომელსაც ბით რაღაც უცხო ლექსს ამღერებდა. ლექსის შინაარსი მოსთქვამდა პეპელს, რომელსაც შეჰყვარებოდა ვარდი...

მართლაც რომ გულის მომწამვლელია ეს ამბავი.

გადავდგი რამდენიმე ნაბიჯი წინ და თავი ამოვყავ ჩემს სახლზე მოკრულს ბაღში, რომელსაც ხავერდად ათას გვარ სურნელოვან ყვავილების ნაქსოვი დაჰგებია და ქვეყნად ნეტარების ბრწყინვალე წალკოტად დაუსახავს. მაგრამ მედიდურად მორთული ბაღი გულს მწუხარებას როდიღა აცლიდა. იქ ჩემთვის არაფერი უცხო და გასართობი არ აღმოჩნდა... თვალის წარმტაცი, ტურფად შემკული ყვავილთა ბუჩქნი აჭრელებულის ნოხივით დაფენილიყვნენ, რომელთაც აქეთ-იქით გვერდებზე, ალმასის გველივით დაკლაკნილი, მისდევდა წითელ-ყვითელ ფერადებით ნაქსოვი არშია. რიგზე ჩაწყობილ-ჩარიგებულნი უცხო ხე-ხილთა ნაყოფნი ედემის კეკლუცად გამოიყურებოდნენ და სიტკბოების სუნს ავრცელებდნენ. ჰაერის სივრცეში სწორად ავარდნილ ხე-ხილთა ძირები ქვიშით მოეკირწყლათ, რომელთაც ლარივით გაკრული და გაწმენდილი გზები ერთი ერთმანეთს მისდევდა. ბაღის ოთხივე მხარე უმშვენიერესს გასახედ-გამოსახედ ადგილებით იყო შემკული. ერთის მხრით, თვალს იტაცებდა თოვლით დაბურული მთის სიმაღლენი; იმათ გადმოღმა გაწოლილს სივრცეს და აბიბინებულს მინდორ-ველს ამხიარულებდა მთიდან მოკისკასე ცივი წყარონი. მეორეს მხრით, გაწოლილიყო მდინარე თავის ხეობით; ამწვანებულს ფოთლებს შორის მდინარის ნელი ტალღები ჩუმად ბუტბუტებდნენ და სამარისებურს მყუდროებას ოდნავ არღვევდნენ. დიაღ, ყველა-



მანჯურიის ჯარის უფროსი კუროპატკინი ლიაოიანში ჯარებს ათვალიერებს



იაპონიის პირველ ლაშქრის უფროსი, გენერალი კუროკი თავის შტაბით.

და მასალას უნდა წარმოადგენდეს ნიჭიერისა და ხელოვანის მხატვარის გონებისათვის.

ივლისის მზე თან და თან მაღლა მისცურავდა, თავის ოქროს სხივებს ნათელს უმატებდა და უგზავნიდა ამ მშვენიერს წალკოტს. ჰაერში სიცოცხლისა, სიტკბოებისა და მხიარულების სუნი ტრიალებდა...

თეთრი პეპელა, თითქოს მოგლეჯილი იის ფოთოლიაო, ერთის ყვავილიდან მეორე ყვავილზე ჯდებოდა. შემთხვევით იგი ჩემს ხელს შეეხო და ზედ თავის სუბუქ ფრთების თეთრი წმინდა მტვერი დასტოვა. მომაგონდა მომღერალ ქალის ლექსის შინაარსი და ამ ჰაეროვან პაწია და სპეტაკ ქმნილებასთან საუბრის სურვილმა გამიტაცა.

— გამარჯვება, პეპელო! — აჩქარებითა და მოუთმენლობით მივაძახე მე: — დაიცა, დაიცა, თუ ღმერთი გწამს! საით მიეჩქარები უზრუნველად შექმნილო, ჰაერის შვილო? მითხარი, მეგობარო, საიდან ან როგორ შეგიძენია ეგ მსუბუქი, თეთრის თოვლივით განსპეტაკებული მტვერი, რომელიც ჩემს ხელს ფერფლად მიაყარე? რა სიწმიდეა იგი, რომელიც შენ ერთის ყვავილიდან მეორეზე გადაფრენის დროს დაგაქვს ნიავსავით სუბუქს ფრებითა? და მერე რა ტურფაა და სპეტაკი! იმას ვერ შეედრება ვერავითარი სურნელება უსაზღვრო ბუნებისა. საიდან ჩაგივარდა შენ იგი ხელში? მიამბე ჩქარა, თუ ღმერთი გწამს და გებრალები...

— ოჰ, როგორი ცნობისმოყვარე და მოუთმენელი ჰყოფილხარ! — შემომძახა პეპელამ: — გიამება განა გაიგო დაფარული, საიდუმლო აზრი ამ ფერფლის არსებობისა? კარგი, ინებე, გიამბობ ყველაფერს და შენს ცნობისმოყვარეობას დავაკმაყოფილებ.



იაპონიის გენერალი კუროკი ნაციონალურ ტანისამოსში) და იმისი ოჯახი.

და პეპელამ გადმომცა, ღმერთო ჩემო, ისეთი საოცარი ამბავი, რომელსაც თქვენ ვერ ამოიკითხავთ ვერც ერთს საუკეთესო ფილოსოფიურ წიგნში. ჩვენ ბევრს დამაფიქრებელს რასმეს შევიტყობდით რომ ხშირად თუ არა, ზოგჯერ მაინც ვსაუბრობდეთ ამ უვნებელსა და საკვირველს პეპლებთან, ჭიანჭველებთან, ფუტკრებთან და სხვა ამგვარ მწერებთან, რომელთაც ასე გულცივად, აღუშფოთებლად ვსრესავთ ხოლმე ჩვენის ფეხებით.

*
* *

როდესაც ევა გაჩნდა ქვეყანაზედ, — დაიწყო პეპელამ: — მაშინ ედემში ყველაფერი მხიარულებით, სიმშვენიერითა და სიცოცხლით ჰფეთქდა. ქალი თუმცა ქვეყნის დიდებულ მორთულობას განეცვიფრებინა, მაგრამ იმის გულში შურისა და სიხარბს გრძნობას მაინც არ გაუვ ლია. იგი გაეტაცა ლომის ცხოველთა მეფის, საუცხოვო ფაფარის ზვირთთა დანახვას და თეთრ თოვლივით სპეტაკ გედების ანკარა ტბის წყალში მოხდენილს ცურაობას. ერთხელ, როდესაც იგი ტბის ნაპირის იჯდა, ედემის კეკლუცი ევა სწრაფად წამოდგა, გიშერივით შავი თმის ზვირთები მხრებს იქით გადაიგდო, საგანგებო ბროლის გულ-მკერდი მომხიბვლელად შეათამაშა, ოდნავ წამოიხარა და ანკარა წყლის სარკეში თავისი უმშვენიერესი შუქ-ფენილი, ტურფა პირისახე დაინახა. იმ წუთასვე ქალმა იგრძნო, რომ იგი ამ ხილულ ქვეყნის დედოფალია... და ბუნების მშვენიერებით აღძრული აღტაცება და სიხარული დაბალ ქმნილებათა შებრალებისა და დახმარების გრძნობამ შესცვალა... მართალია, ლომის ხშირი, საუცხოვო ფაფარი მეფურ დიდებულებით შემკულიყო, მაგრამ იგი მაინც ვერ შეედრებოდა ყმაწვილ ქალის იმ დაწნილ თმის ზვირთებს, რომელნიც ქალის მარმარილოს მხარ-ბეჭს ზეციურის საკვირველებით ფარავდა. მართალია, თვალ-უწვდენელი სივრცე

ლაჟვარდ ცისა ღვთაებრივის განგებულებით შემოსილიყო, მაგრამ ევას ორი ღრმა ცის ფერი თვალი ყოველ-გვარ ცის სიმშვენიერეს აღემატებოდა და აზრით წარმოუდგენელს ნეტარებას და სიტკბოებას ხატავდა. მართალია, თეთრსა, თოვლსავით სპეტაკს გედს, მაღალის, მოქნილის ყელითა და ოქროს ფერის ფრთებით, საკვირველის სიმშვენიერის გვირგვინი ედგა თავზედ, მაგრამ თვით იგი ქალი ჭეშმარიტად განხორციელებული სპეტაკება, მშვენიერების საკვირველი გვირგვინი იყო და ერთი იმისი ნიავსავით მსუბუქი, ნელი რხევა, გულის წარმტაცი მიმზიდველობა მთელს დედა-მიწაზე ფას დაუდებელი იყო და ქვეყნის საუნჯეს შეისყიდიდა. ამ დროს ყმაწვილ ქალის წარმოდგენა სასიამოვნო ოცნებით მნათობთა ზევით დაფრინავდა და შემომქმედის უსაზღვრო სადგურს უახლოვდებოდა. დიაღ, იგი იყო მეფა და დედოფალი მთელის ხილულის ბუნებისა და ქვეყნისა. გარემო ბუნების ცქერით დანაყრებული ქალი, უბედნიერეს წუთების სიტკბოებას წარეტაცა და სიხარულით წარმოსთქვამდა: „ჰო, რასაკვირველია, ყველაფერი ეს მშვენიერია, მაგრამ ამასთან ღარიბია და სუსტი!“ და იმის ოდნავ გაპობილს ალისფერ ტუჩებს მედიდურობის ღიმილის ბეჭედი ესახებოდა. მთლად მოხიბლული თავის ღვთიურ სიმშვენიერით, იგი ხის ჩრდილ ქვეშ ჯდებოდა, ნიკაპზედ ანგელოზური გრძნობა უთამაშებდა და თავის პაწაწინა ფეხების მარგალიტ თითებს გატაცებით ჰკოცნიდა.

მაგრამ, აი, დაინახა ვარდი...

*
* *

ქალის წინ იდგა ვარდის ახლად გაშლილი მშვენიერი კოკორი. იმის ნორჩს ფოთოლს ნახევრად გაეპო პირის სახე, თითქოს იცინისო, ვით გაკრიალებულს ცის სივრცეში



იაპონიის ჯარის-კაცს ბრძოლის ველიდამ ზურგით კაჰყავს დაჭრილი რუსის ჯარის-კაცი.

გაკაშკაშებული ვარსკვლავი. დიაღ, ეს გახლდათ ვარდი იგი ჰფენდა მთელს არე-მარეს სიცოცლის მომგვრელს სურნელებას და ჰაერს ატკბობდა. თვალ-გადასავლებელი კამარა დაფერადებული ბუნებისა იმის უცხო ატლასის ფერს მოსასხამში ჯადო მოსმულის ყმაწვილის ქალის გულ-მკერდივით ელვარებდა და ცის ლაჟვარდი დავლურს უვლიდა.

შორი-ახლოდ მოსიარულე ახალგაზდა ვეფხი გრძნობით

დაინახა თუ არა ახლად გაშლილი კეკლუცი ვარდი, ქალი განცვიფრებამ მოიცვა და უნებურად შეკრთა. იმ წამსვე გაიგო, რომ ქვეყანაზე იმასაც მოქიშპე და მოკამათე ჰყოლია და თავი ერთს წუთს მწუხარებით ჩაჰკიდა. დიაღ, ქალს მშვენიერების, სასწაულთ-მოქმედების გვირგვინი მეფურად თავზედ ედგა, მაგრამ იმაზედ ნაკლებად ტურფა და მეფურის დიდებულებისა არც ეს ვარდი გახლდათ. და, ერთის წერტილის მანძილის დაშორებით, პირის-პირ დაისახა სიცოცხლე სიცოცხლის წინააღმდეგი, ღიმილი ღიმილის წინააღმდეგი, მშვენიერება მშვენიერების წინააღმდეგი, —და... დაიწყო მათ შორის საუკუნო, საზღვარ დაუდებელი და შეურიგებელი მტრობა, ქიშპობა... შეყვარებულნი პოეტნი საკვირველის მხატვრობით ტყუილად გვისახავენ ხოლმე ქალს, რომ იგი მშვენიერებისა და გულჩვილობის დედოფალიაო. მან კარგად იცის, რომ დადგება თუ არა გაზაფხული და ზურმუხტის ფერად აბიბინდებიან თუ არა მთანი და ველნი, მიმზიდველი მოქიშპეც თავს იჩენს და ჯადოსნურად გადაიშლება უცხო ფერადებითა, რომლის სიმშვენიერე ქალისათვის საუკუნო ტანჯვისა და მწუხარების ზღვად გადაიქცევა. იცოდა და ესმოდა ეს ევასაც და მწუხარების, მწარე ნაღვლის გრძნობამ მოიცვა იმისი გული და არსება. შურის-გებისა და





ტიურენჩენის ბრძოლაში დაჭრილნი რუსის მღვდელი, აფიცრები და ჯარის-კაცნი.

მძულვარების გრძნობა ღრღნიდა იმას; იმას, რომელსაც დამონებისა და მორჩილების ნიშნად კრძალულებით მუხლს უდრეკდა მთელი მსოფლიო, დიაღ, ამ პაწაწინა უცნაურ ყვავილის გარდა, მთელი მსოფლიო... მხოლოდ მარტო ამ ერთ ყვავილს აუშვერია მაღლა სპეტაკებით შუქფენილი თავი და იქიდან გულის დამსერავის შხამით თითქოს დასცინის ამ „ქვეყნის დედოფალსაო“...

ამ დღიდან ქვეყნიერებამ ევას თვალში დაჰკარგა თა-

ცრად მოსრიალე გედების თვალის დევნებასა და სეირს. იმას აღარ იტაცებდა მშვენიერ ბუნების, მთელ სამყაროს უცხო მორთულობა, ცისა მნათობთა ციმციმი და უდიდესის ხუროთ-მოძღვრის საკვირველ ძალის მოქმედება. ის იყო თავ-ჩაკიდებული და მწარედ დანაღვლიანებული. ქალმა დაივიწყა თავის პაწაწინა ბროლის ფერხთა მარგალიტი თითები და თავისი მომხიბვლელად დაწნილი, ალმასის გველსავით მხარ-ბეჭზედ მოსრიალე, გიშრის თმებიცა. დაბნელდა მზე და მთვარე და იმის ორს მელნის ტბას წყვდიადი გადაეფარა. ღამე იმის თვალებს ძილი არ ეკარებოდა. თავის მოქიშპეს შურის ძიების ფიქრი და იმის საუკუნოდ მოსპობის მწარე აზრი მო-სვენებას არ აძლევდა...

**ხომლელი.**

(დასასრული იქნება)

## სცენები ბაქოს „ქალთა მფარველ საზოგადოების" სადგომში

